ხელშეკრულება №6
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.ხონი 19 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ ა(ა)ი.პ საფეხბურთო კლუბი ხონის „იმერეთი“-ს (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზი სანიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს “რაპაკა” (ს/ნ 412704505) წარმოდგენილი მისი დირექტორის კახაბერ გვეტაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით,“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ტექსტური შტამპის დამზადება (CPV-30192153), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 20,00 (ოცი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1. “მიმწოდებელი” ვალდებულია საქონლის მიწოდება განახორციელოს 2019 წლის 31 მარტამდე.

4.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად ”მიმწოდებული” ვალდებულია უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მიწოდებული საქონელი, მისი ხარისხი და ყველა მახასიათებლები შეესაბამება საქართველოში დადგენილ ნორმებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.მიღება-ჩაბარების წესი

6.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1.შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა)ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1.დაუძლეველი პირობების გარდა,მხარეთა მიერ დადგენილ ვადაში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4.მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

10.5.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 1 მაისამდე.

13.სხვა პირობები

13.1.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

14.მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი
ხონის „იმერეთი“
ს/კ244973739
მის:ქ.ხონი პ.კაკაბაძის ქ N7
სახელმწიფო ხაზინა TRESSGE22

მიმწოდებელი:

შპს „რაპაკა“
ს/ნ 412704505

სს „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ნ GE54PC0013600100045900

დირექტორის

---------- /რ.სანიკიძე/

დირექტორი:

---------- / კ.გვეტაძე/

NNLE Football Club „Imereti" of Khoni
Digitally signed by NNLE Football Club „Imereti" of Khoni
Date: 2019.03.19 11:33:35 +04'00'